

თანხის უკან დაბრუნების პოლიტიკა

1. ვებ-გვერდიდან helpy.ge არასწორად/შეცდომით შესრულებული ტრანზაქციის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტაზე (Help@helpy.ge). მიღებული წერილის საფუძველზე, მივიღებთ გადაწყვეტილებას გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ და 5 სამუშაო დღის განმავლობაში თანხა დაირიცხება მომხმარებლის ანგარიშზე.

2. თუ, შეკვეთის შემსრულებელს, შეკვეთაში მითითებული რომელიმე დამატებითი სერვისის შესრულება დაავიწყდა და მომხმარებელი უარს აცხედებს სერვისის მოგვიანებით მიღებაზე - ამ კონკრეტული სერვისის საფასური მომხმარებელს 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე დაერიცხება.

3. თანხის დაბრუნება შეიძლება მოხდეს ქლინერის მიერ სერვისის შესრულების დროს, რაიმე ნივთის დაზიანების შემთხვევაში, თუ:

- დაზიანებული ნივთი შეკეთებას არ ექვემდებარება
- ვერ მოხერხდა იდენტიური ნივთის შეძენა

კომპანია ჰელფი ზარალს, 5 სამუშაო დღის განმავლობაში შესაბამისი ოდენობის თანხით აანაზღაურებს (ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლა დაზიანებული ნივთის ცვეთის გათვალისწინებით ხდება).

ნებისმიერი პრეტენზიის ან/და თანხის დაბრუნების მოთხოვნის ქონის შემთხვევაში, სავალდებულოა მოთხოვნის ელექტრონული ფოსტით დაფიქსირება.

ელ.ფოსტაზე - Help@helpy.ge მოგვწერეთ არასწორად შესრულებული ოპერაციის ან ნებისმიერი სხვა ტიპის პრეტენზიის არსი და მოგვანოღეთ შემდეგ ინფორმაცია:

- მომხმარებლის სახელი, გვარი და რეგისტრაციის დროს მითითებული ტელეფონის ნომერი;
- ოპერაციის ან შეკვეთის განხორციელების თარიღი;
- მიუთითეთ ჩარიცხული თანხის ან იმ კომპენსაციის ოდენობა რომელზეც პრეტენზიას აცხადებთ კონკრეტულ შემთხვევაში;

*5 სამუშაო დღის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც შპს ჰელფი დიჯიტალის ოფიციალური წარმომადგენელი თქვენი შეილის მიღებასა და განხილვაში ჩაშვებას დაადასტურებს. დადასტურება მოხდება მეილიდან: Help@helpy.ge.